შეტყობინება სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ალფა ექსპრესის აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის შესახებ

2024 წლის 25 ივლისი

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ალფა ექსპრესი (იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ფალიაშვილის ქ. #53. ბინა 2; საიდენტიფიკაციო ნომერი: 202340984) გატყობინეთ, რომ სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ალფა ექსპრესის (შემდგომში - საზოგადოება) აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება ჩატარდება 2024 წლის 16 აგვისტოს, თბილისის დროით 12:00 საათზე, საზოგადოების იურიდიულ მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ფალიაშვილის ქ. #53. ბინა 2.

აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების სააღრიცხვო დღეა 2024 წლის 23 ივლისი.

აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლება აქვთ მხოლოდ იმ აქციონერებს, რომლებიც სააღრიცხვო დღეს ირიცხებიან აქციონერებად.

აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების დღის წესრიგი:

1. თანხმობის გაცემა მასზედ, რომ **საზოგადოებამ** გაასხვისოს **შპს „ინსიონი"-ში** (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405491187) თავის საკუთრებაში არსებული 100% წილი სრულად (შემდგომში - წილი) **წილის** ქ-ნი ნინო ჭალაგანიძისათვის (პირადი ნომერი: 01024004740) მიყიდვის გზით, იმ პირობით, რომ ქ-ნ ნინო ჭალაგანიძეს, **წილის** ნასყიდობის ფასის სრულად გადახდამდე, აეკრძალება შეძენილი **წილის** გასხვისება ან/და უფლებრივად სხვაგვარად დატვირთვა.

__საზოგადოების__ სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორი რეკომენდაციას აძლევს აქციონერთა კრებას, მხარი დაუჭიროს __საზოგადოების__ მიერ __შპს ინსიონის__ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405491187) __წილის__ ქ-ნი ნინო ჭალაგანიძისათვის (პირადი ნომერი: 01024004740) მიყიდვის საკითხს, იმ პირობით, რომ ქ-ნ ნინო ჭალაგანიძეს, __წილის__ ნასყიდობის ფასის სრულად გადახდამდე, აეკრძალება შეძენილი __წილის__ გასხვისება ან/და უფლებრივად სხვაგვარად დატვირთვა.

2. **საზოგადოების** დირექტორისთვის, ქ-ნ ქეთევან დარსაძისთვის (პირადი ნომერი: 01010019286) სრული და შეუზღუდავი უფლებამოსილების მინიჭება, რათა მან, **საზოგადოების** სახელით, ერთპიროვნულად და დამოუკიდებლად, განსაზღვროს **შპს „ინსიონი"-ს** (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405491187) **წილის** გასხვისებასთან დაკავშირებული ყველა და ნებისმიერი საკითხი, ამ მიზნით, დადოს, ხელი მოაწეროს და შეასრულოს ყველა და ნებისმიერი გარიგება, თავადვე განსაზღვროს ასეთი გარიგებების შინაარსი და პირობები და შეასრულოს **წილის** გასხვისებასთან დაკავშირებული ან/და მისგან გამომდინარე ყველა და ნებისმიერი სხვა ქმედება, მათ შორის, ქ-ნ ნინო ჭალაგანიძესთან (პირადი ნომერი: 01024004740) გააფორმოს წილის ნასყიდობის ხელშეკრულება, განსაზღვროს მისი შინაარსი და პირობები, მათ შორის, **წილის** ნასყიდობის ფასის სრულად გადახდამდე, ქ-ნ ნინო ჭალაგანიძის (პირადი ნომერი: 01024004740) მიერ შეძენილი **წილის** გასხვისების ან/და უფლებრივად სხვაგვარად დატვირთვის აკრძალვა, მოახდინოს აღნიშნული ვალდებულების/აკრძალვის რეგისტრაცია მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრში, გააფორმოს ყველა სხვა საჭირო და აუცილებელი გარიგება და შეასრულოს ყველა და ნებისმიერი სხვა ისეთი ქმედება, რომელთა შედეგად, **საზოგადოება** გაასხვისებს, ხოლო ქ-ნ ნინო ჭალაგანიძე (პირადი ნომერი: 01024004740) შეიძენს **წილს**, იმ პირობით, რომ **წილის** ნასყიდობის ფასის სრულად გადახდამდე, ქ-ნ ნინო ჭალაგანიძეს (პირადი ნომერი: 01024004740) აეკრძალება შეძენილი **წილის** გასხვისება ან/და უფლებრივად სხვაგვარად დატვირთვა.

საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორი რეკომენდაციას აძლევს აქციონერთა კრებას, მხარი დაუჭიროს აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების დღის წესრიგის მე-2 პუნქტად გამოტანილ საკითხს.

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე _____ /ირაკლი მაჭავარიანი/

დირექტორი _____ /ქეთევან დარსაძე/